საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის გოჩა ჯეირანაშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N1/4 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის N1/10 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა გოჩა ჯეირანაშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2024 წლის 29 აპრილს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის გოჩა ჯეირანაშვილის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34[2] მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, გოჩა ჯეირანაშვილის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენას. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ გოჩა ჯეირანაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მაქსიმალური 100 ქულიდან შევაფასე - 95 ქულით, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 95%-ს შეადგენს.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კანდიდატმა დააგროვა სულ 1386 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 92,40% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით გოჩა ჯეირანაშვილმა დაიკავა მე-2 პოზიცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის N1/23 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი, მათ შორის - გოჩა ჯეირანაშვილი.

ამრიგად, 2024 წლის 30 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე გოჩა ჯეირანაშვილს, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით ის ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

30 მაისი, 2024 წელი